საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-930

24/06/2021

ქ. თბილისი

ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. პატარა ფოთში შპს „ჯიარჯის“ ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, გზშ-ის საჭიროების დადგენის მიზნით, შპს „ჯიარჯის“ მიერ წარმოდგენილია ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. პატარა ფოთში არსებული ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „ჯიარჯი“ ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. პატარა ფოთში ფლობს ასფალტის საწარმოს, რაზეც, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2017 წლის 27 სექტემბერს გაცემულია N68 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, აღნიშნული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, 2020 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-976 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. სკრინინგის განცხადების თანახმად, შპს ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს მუდმივმოქმედ ფილიალთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ჯიარჯიმ” უნდა უზრუნველყოს ასფალტის წარმოება ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის E60 მონაკვეთისათვის. აღნიშნული სამუშაოებისათვის, საწარმოს ტერიტორიაზე, კომპანიის მფლობელობაში არსებული მძიმე ტექნიკის საწვავით მომარაგების მიზნით, დაგეგმილია საწვავის გასაცემი ერთპისტოლეტიანი ავზის (ნავთობპროდუქტების საცავის) მოწყობა და ექსპლუატაცია, რაც წარმოადგენს საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ასფალტის საწარმო პროდუქციის წარმოებას ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული ტექნოლოგიური ციკლის და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად და მასში რაიმე სახის ცვლილება დაგეგმილი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ასფალტის საწარმო მდებარეობს ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. პატარა ფოთში, შპს „ჯიარჯის“ საკუთრებაში არსებულ 2285 $მ^3$ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 45.08.25.132).

საპროექტო მიწის ნაკვეთიდან მდინარე რიონი დაშორებულია დაახლოებით 260 მეტრით, ხოლო უახლოესი დასახლებული პუნქტი - სოფ. პატარა ფოთი, საპროექტო ტერიტორიიდან დაცილებულია დაახლოებით 1 კმ-ით. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ასფალტის საწარმოს ტერიტორიაზე ერთი, 15 ტ მოცულობის, საწვავის გასაცემი ერთპისტოლეტიანი ავზის განთავსება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, აღნიშნული ავზი შპს „ჯიარჯიმ“ იჯარის საფუძველზე მიიღო სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასაგან“.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწვავის ავზი განთავსდება დახურულ ნაგებობაში. თავდაპირველად მოხდება ბეტონის საძირკვლის მოწყობა, რომელიც ამოშენებული იქნება ბეტონის ბლოკის კედლებით. აღნიშნული სივრცე, პარამეტრებით 9,5მ X 4,16 მ-ზე, 110%-ით მეტი იქნება საწვავის ავზის მოცულობაზე, რაც, სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავარიული დაღვრის შემთხვევაში, უზრუნველყოფს საწვავის სრულად შეკავებას. აღნიშნულ სივრცეში განთავსდება აგრეთვე დამხმარე ნაგებობა. ატმოსფერული ნალექებისაგან დაცვის მიზნით, ნაგებობა გადაიხურება. შესაბამისად, არ იქნება სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკები. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნავთობპროდუქტების საცავის განთავსების ტერიტორიის სიახლოვეს ზედაპირული წყლის ობიექტი არ ფიქსირდება, შესაბამისად ზედაპირულ წყლებზე რაიმე სახის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ნავთობპროდუქტების ავზის განთავსება დაგეგმილია არსებული საწარმოს ტერიტორიაზე, რომელიც შემოსაზღვრული და დაცულია, ამასთან, საპროექტო ტერიტორიაზე მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. სკრინინგის განცხადების თანახმად, უახლოესი დაცული ტერიტორია, კოლხეთის ეროვნული პარკი, საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 1,5 კმ-ით. შესაბამისად, საქმიანობის განხორციელების ეტაპზე ბიომრავალფეროვნებასა და დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწვავის ავზის (ნავთობპროდუქტების საცავის) მოწყობა მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული არ არის, შესაბამისად, მნიშვნელოვანი ხმაურის წარმოქმნა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ხმაურის წარმოქმნა მოსალოდნელია ექსპლუატაციის ეტაპზე, მძიმე ტექნიკის გადაადგილებისას, რისი მონიტორინგიც, განცხადების თანახმად, პერიოდულად განხორციელდება.

საქმიანობის განხორციელებისას სატრანსპორტო ოპერაციებისათვის გამოყენებული იქნება საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი (ასაქცევი)-სარფი (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზა (ს-2), დოკუმენტის თანახმად, ოპერირების პროცესში არ იქნება გამოყენებული უახლოეს დასახლებულ პუნქტებზე გამავალი გზები. შესაბამისად, საქმიანობა ადგილობრივი გზების დატვირთვაზე და სატრანსპორტო ნაკადებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ მოახდენს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პერიოდში, საწვავის გაცემის ეტაპზე მცირე ლოკალური დაღვრის შემთხვევაში, ნიადაგის დაბინძურებული ფენა და მასთან შეხებაში არსებული საგნები

დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ სახიფათო ნარჩენების განთავსების სივრცეში, შესაბამისი მარკირების მქონე კონტეინერში, ხოლო მათი შემდგომი მართვა განხორციელდება კომპანიის მიერ სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად (N3184/01; 31.03.2021).

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საწვავის ავზის (ნავთობპროდუქტების საცავის) ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. სკრინინგის განცხადების თანახმად, შპს „ჯიარჯის“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმების ანგარიში, საწარმოს ტერიტორიაზე საწვავის ავზი იქნება დამატებითი გაფრქვევის წყარო. აღსანიშნავია, რომ ნავთობპროდუქტების საცავების ექსპლუატაციისას წარმოქმნილი გაფრქვევები ძირითადად მცირე მოცულობისაა. ამასთან საპროექტო საწვავის ავზი განთავსებული იქნება დახურულ ნაგებობაში, რომელიც ზევიდან გადაიხურება, რაც ამცირებს მასზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა. შ) უარყოფითი ზემოქმედების რისკებს. ასევე, ზღუდავს გაფრქვევათა შორ მანძილებზე გავრცელების საფრთხეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაფრქვევები ლოკალიზებულია საწვავის ავზის განთავსების, ამ შემთხვევაში, ასფალტის საწარმოს ტერიტორიაზე და იშვიათად სცილდება ტერიტორიის საზღვრებს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით სამინისტროში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, საქმიანობის სპეციფიკიდან და მასშტაბიდან გამომდინარე, საწვავის ავზის (ნავთობპროდუქტების საცავის) მოწყობა და ექსპლუატაცია გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. პატარა ფოთში შპს „ჯიარჯის“ ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია) **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჯიარჯიმ“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის” სამინისტროსთან შეთანხმება (ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით);

3. შპს „ჯიარჯიმ“ საქმიანობა განახორციელოს 2020 წლის 23 ოქტომბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (N 2-976 ბრძანება) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;
4. ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2017 წლის N68 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (N 2-976 ბრძანება, 23.10.2020) განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჯიარჯის“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯიარჯის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხობის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი